№ 276
ხუთშაბათი, 24 დეკემბერი, 1898 წ.

გაზეთი ღირს:

თვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
12	10—	6	6 —
11	9 50	5	5 50
10	8 75	4	4 75
9	8 —	3	3 50
8	7 25	2	2 75
7	6 50	1	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

1877—1898

ივერია

№ 276
ხუთშაბათი 24 დეკემბერი, 1898 წ.

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, № 27.
ტფილისის გუბერნიისა
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

ქართული თეატრი

შაბათს, 26 დეკემბერს,

ქართულის დრამატიულის საზოგადოების არტისტებისაგან ბ-ნ ა. დ. ყიფიანის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება

დ ა-ძ მ ა

დრამა 5 მოქ. ვ. გუნიასი.

მოთამაშენი: ქ-ნნი კარგარეთელი, ჩერქეზიშვილისა; ბ-ნნი ყიფიანი, სვიმონიძე, გედევანოვი, კანდელაკი, შათირიშვილი, ხოსროევი და სხვ.

ადგილების ფასი დაკლებულია. დასაწყისი სწორედ 8 საათზედ.

რეჟისორნი ვ. აბაშიძე და ა. მესხი.

დიდი იაფობა

იაპონიის, ჩინეთის და კავკასიის საუცხოო და ორიგინალ საქონლისა.

იყიდება: უმკირესი ფასი **ლღესასწაულებში მისართმევად, ოთახების მოსართავად,** სამწერლო მაგიდებისა, კუთხეებ ს და კედლების შესამკობად და სხვანი.

აქვე **ისყიდება მრავალგვარი აგრეთუმეულობა ტ ფანზა ჩინეთისა** (თეთრეულებისათვის).

ისყიდება აგრეთვე შეკერილი ხალათები, ზუზები და სხვა.

ფოთრის-მეღიქოვის ქუჩა, ზუბალოვის სახლი, სემენარიის პირდაპირ,

იოსებ მერკვილაძის მაღაზიაში.

(—ნ.—8)

ექიმი ი. ია. გოკიელოვი

მიიღებს სპეციალურად ვენერიულ (სიფილისი), საშარდეს, კანის და შინაგან სნეულობით ავადმყოფთ ყოველ დღე, დილით 9—12 საათ., საღამოთი 5—7 საათ.

კერძოდ შინაგან და კანით ავადმყოფებს შუადღის 12—1 საათამდე.

აქვე შეიძლება ქიმიურად და მიკროსკოპიულად განხილვა ნახველისა, შარდისა, სისხლის და გადამდების ავადმყოფობისა და სხვა.

განოვის ქუჩა, სახლი № 31, მარქაროვისა, სოლოლაკი. (20—185—12)

აფთიაქი.

ს. სამღებროში, ზუგდიდის მაზრაში, იძლევა იჯარით. პირობათა შესატყობად მიჰმართონ აფთიაქის პატრონს შემდეგის ადრესით: Черезъ Зугдидское уѣздное управленіе въ с. Самгебро, аптекарю Вольскому.

(3—188—3)

პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. **ნავასარდიანი**, 11—12 საათ. სადოსტაქარო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ე. მ **ჩიქოვანი**, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. **ბაბანასიანცი.**—დილის 11—12 ს. ქალთა სენით ავადფმყოფებს.

ი. თ. **ბრატასუკიანი**—12—1 საათ. ყურის, ყელის, ცხვირის და გულის ავადმყოფ.

ა. შ. **კარაშეტიანცი.** 1—1½ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

ა. ბ. **ბურკო.** 1¼—2¼ ს. შინაგანი და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით:

გ. მ. **მახვილაძე.**—6—7 საათ. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფ.

ა. ნ. **შპაკოვსკი**—6—7 საათ. ნერვების (ელექტროტერაპია), ვენელუირი და კანის სნეულებ.

ბ. ა. **ნავასარდიანი**—6½—7 საათ.

ტ. ი. **რუდენკო**—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად, მიკროსკოპიულად და ბაქტეროლოგიურად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

(წ)

ფელეტონი

ადამ მიცკევიჩი

(1798—1855 წ.)

დღეს, 12 (ახალის სტილით 24) დეკემბერს, დიდი დღე უდგება პოლონეთის ერს. უსრულდება დიდი ხნის სურვილი: იგი უდგამს თავისს უდიდესს და უსაყვარლესს პოეტს, ადამ მიცკევიჩს, ძეგლს თავისს დედაქალაქ ვარშავაში. ვინ იყო მიცკევიჩი პოლონეთისათვის, ეს ძალიან კარგად იცის განათლებულმა ევროპამ; იმედია, თუ ჩვენს საზოგადოებას არ წაუკითხავს მისი თხზულება, გაუგონია მაინც რამე მიცკევიჩის შესახებ. ზოგიერთი მისი ლექსები გადათარგმნილია კიდეც ქართულს ენაზედ თ. გ. ერისთავისაგან 1830 წლებში. არ ვიცი, უდიდესი მისი თხზულება „პან თადეუშ“ არის გადათარგმნილი ქართულად თუ არა, მხოლოდ „მოამბის“ 1894 წლ. 1 №-ში დაბეჭდილი ბ. სენკევიჩის „კანდელის მეფარნე“-ში არის მოყვანილი ლექსად შესავალი: „პან თადეუშიდგან“: ოჰ, ლიტვავ, სამშობლოვ მხარევ“...

არ ძალ-მიძს დაწვრილებით დავაფასო მიცკევიჩის მოქმედება, დავახასიათო მისი პოეზია, ამას იქნება მთელი ტომები დასჭირდეს. საკმარისია მოვიხსენოთ, რომ მიცკევიჩმა, თითქმის პირველმა პოლონეთის ლიტერატურაში, შესცვალა ძველი კლასიკური მიმართულება რომანტიულით. შემდეგ გადავიდა რეალურზედ: სთარგმნა ბაირონის თხზულება პოლონურს ენაზედ და აგრეთვე ბაირონული უკმაყოფილება გაატარა ბევრს თავისს უკვდავ ლექსებში. ბოლოს დროს მეშმუნვარე, თავისის ქვეყნის ბედ-იღბლით და კერძოდ თავისის სახლობის უბედურობით (ორჯელ შეეშალა ჰკუიდგან ახალგაზდა ცოლი და მესამედ კიდეც თან გადაჰყვა), მისტიციზმში ჰპოვა ხსნა და უკანასკნელ მის თხზულებას მისტიციზმის გავლენა ატყვია.

როგორც შვილი თავისის ქვეყნისა და ერისა, იგი ყოველ წამს მისის ბედ-იღბლისათვის ჰფიქრობს: ბავშვობიდგანვე მისი მოალერსეა; უნივერსიტეტში ყოფნის დროს არდგენს ზანის მეთაურობით, ლიტველ ახალგაზდობის წრეს „ფილარეტებისას“, რომელსაც აზრადა აქვს სამშობლოს სამსახური. სამშობლოდგან რუსეთში გაძევების შემდეგ, იგი აცნობს რუსეთის მაღალ საზოგადოებას პოლონელებს და პოლონურ ლიტერატურას. მიემგზავრება საზღვარ-გარეთ და აცნობს პოლონურ ლიტერატურას ნემცებს, ფრანგებს, იტალიელებს და შვეიცარიელებს. ესწრობა ქ. ვეიმარში გეტეს 80 წლის იუბილეის. მოხუცი იუბილიარი დიდის აღტაცებით იღებს „ამომავალს მზეს“, ებაასება პოლონურ ლიტერატურის შესახებ და, გამოსალმების დროს, აძლევს მას და მეორე ახალგაზდა პოლონელ პოეტ რდინეცს ორ მოვარაყებულ ბარათს საკუთარ ლექსის ზედ-წარწერით. ეს ბარათები ჩარჭობილი იყო წმინდად გათლილ ფრთის კალმებში. ქ. ლოზანაში მას იწვევენ ლათინურ ენის პროფესორად. თითქმის ამავე დროს არსდება პარიზში განათლების მინისტრის Cousin-ის მეთაურობით და თავ. ადამ ჩარტორიისკის შთაგონებით, პირველი კათედრა ევროპაში სლოვენთა ენისა და ლიტერატურისა; ამ კათედრაზედ იწვევენ უკვე საზოგადოდ ცნობილ ადამ მიცკევიჩს. მართალია, ადამს ვერაფრად ესიამოვნა ლოზანის დატოვება, რომელიც გულით შეუყვარდა და რომლის სტუდენტობა აღტაცებით ყურს უსმენდა, მაგრამ მამულიშვილურმა მოვალეობამ, რომ ახალი კათედრის დაარსებით შეეძლო გაეცნო განათლებულ ევროპისათვის სლოვიანთა მხარე და კერძოდ პოლონეთი, აიძულა ადამი თავი დაენებებინა მყუდრო ქვეყნისათვის და შფოთიან და დაუდეგარ პარიზის მოპატიჟება მიეღო.

აი როგორ ახასიათებს, ორიოდე სიტყვით, ადამ მიცკევიჩის მოქმედებას პოლონეთის ცნობილი თანამედროვე ფილოსოფოს-კრიტიკოსი, Piotr Chmieliowski: „ასეთი იყო ღირსება უდიდესის პოეტის გენიოსისა, რომელიც დაჰბადა პოლონეთმა: როგორც კაცი, უწუნო იყო, სულგრძელი და შეუდრეკელი; როგორც მამულის შვილს, უყვარდა თავისი სამშობლო განუსაზღვრელად და საზოგადო საქმეს ყოველთვის მაღლა აყენებდა ჰირად ინტერესებზედ; როგორც პოეტმა, ყველაზედ უკეთესად იგრძნო და დაჰბატა ჩვენის ქვეყნის ბუნება, ჩვენი ხასიათი, შეხედულობა, მიმართულება, გრძნობა-მწუხარება. საგანი მისის აღფრთოვანებისა ის-კი არ იყო, რაც წარმავალია და ცვალებადი, არამედ რაც უფრო ძლიერია, რომლის ღონიერ ფესვებს გაუმაგრებიათ ძირი ერისა და ხალხოსნობის ნიადაგში და რომელიც მას აფხიზლებს და მუდმივად ამოძრავებს იმისს აჩქარებულს გულის ცემას. მან შეჰქმნა თანამედროვე ჩვენი ლიტერატურა. მან შეჰქმნა და წააქეზა მთელი ლეგიონი მწერალთა, რომელნიც მის კვალს მისდევდნენ; მან გააცნო განათლებულ ქვეყანას ჩვენი პოეტიური შემოქმედებითი ძალა; მას უყვარდა და თავს სწირავდა მილიონს და იმიტომაც ეს მილიონი არამც თუ თაყვანს სცემს, არამედ მისი მხურვალე სიყვარული ადამ მიცკევიჩის მიმართ გამოუთქმელია“.

რომ უფრო სრულად იყოს დახატული სურათი მიცკევიჩისა, ქართველ საზოგადოებისათვის მოკლე ბიოგრაფიულ ცნობებსა ვწერ, შედგენილს ქ ნ რბეზერსკისა და თომაშ ზანის (მიცკევიჩის მახლობელ მეგობრის) ოთხმოცი წლის ქვრივისაგან საგანგებოდ ქართულ ლიტერატურისათვის,—რომელთაც დიდს მადლობას ვწირავ ჩემის მხრივ ამ ცნობების გადმოცემისათვის.

—

1798 წლის 27 ქრისტიშობისთვეს დაიბადა ს. ზაოსში (სხვების ცნობით ქ. ნოვოგრუდკაში), მინსკის გუბერნიაში, დაბა ნოვოგრუდკიდგან 5 მილის მოშორებით, პოლონეთის უდიდესი პოეტი, ადამ მიცკევიჩი. მამას ერქვა ნიკოლოზ, დედას ბარბარე, შთამომავლობით მაეკსკა.

ახალი ამბავი

*** 22 დეკემბერს ამიერ-კავკასიის რკინის გზის სახელოსნოებსა და დეპოებში 1,657 კაცი მუშაობდა, 100 კაცით მეტი, ვიდრე წინა დღეს.

*** კავკასიის სამკურნალო ნაწილის გამგეობამ მიჰმართა ტფილისის გუბერნატორს და სთხოვა, გვაცნობეთ აცრილის საქონლიდგან რამდენი დაურიგდა მოინასტრებს, გადმოსახლებულ რუსებს, გლეხებს და სხვათა და რა პირობითაო.

*** ჩვენ უკვე ვწერდით, რომ კავკასიის სამკურნალო ნაწილის გამგეობაში ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ სოფლებში მკურნალობის საქმე სხვა გვარად იქმნას მოწყობილი. გამგეობა ამ საქმის შესახებ შეჰკითხებია კავკასიის გუბერნატორებს და ოლქის უფროსებს, რომელთაც ის აზრი გამოუთქვამთ, რომ აწ არსებული დებულობა სასოფლო მკურნალობის შესახებ შეცვლილ უნდა იქმნას, რადგანაც იგი არ აკმაყოფილებს აწინდელს ცხოვრების მოთხოვნილებასაო.

*** ამას წინად ადგილობრივი რუსული გაზეთები სწერდნენ, რომ ზოგიერთ თამბაქოს ქარხნებში ცუდად ექცევიან ამ ქარხნებში მომუშავე ბავშვებსაო. ამ შენიშვნისათვის ყურადღება მიუქცევია საგუბერნიო ადმინისტრაციას და აღმოუჩენია, რომ ქარხნებში მართლაც ბავშვებს მეტად ცუდად ექცევიან. გაზ. „ტფ. ფ.“-ს სიტყვით, ამ ქარხნის პატრონნი სამართლში იქმნებიან მიცემულნი.

*** გუშინ ვწერდით, რომ ბათუმის ქალაქის საბჭომ უკანასკნელს კრებაზედ გადაუწყვიტა ჯამაგირი ქა-

მთავრობის განკარგულებანი

ებოძათ სამსახურის წელთა შესრულებისა გამო სტატსკი სოვეტნიკობა—კავკავის გიმნაზიის-მასწავლებელს კ ა ხ ი ძ ეს; გუბერნსკი სეკრეტრობა: ქ. ყარსის პოლიციის აფიცერს ზ ე დ გ ი ნ ი ძ ეს, პიატიგორსკის სამოქალაქო სამ-კლასიან სასწავლებლის მასწავლებელს ე გ უ შ ი ა ს; კოლეჟსკი რეგისტრატორობა: სოფლის ორკლასიან სკოლის ზედამხედველთ: ლანჩხუთისა—წ ი თ ლ ი ძ ეს, ჩიბატისა—ჯ ო რ ბ ე ნ ა ძ ეს და ნახახულევისა—ჩ ი მ ა კ ა ძ ეს.

დამტკიცებულ იქმნენ ხარისხში: სტატსკი სოვეტნიკისაში ლეჩხუმის მაზრის მომრიგებელი შუამავალი თავადი გ უ გ უ ნ ა ვ ა; კოლეჟსკი სეკრეტრისაში—სტავროპოლის სამოქალაქო ექვს-კლასიან სასწავლებლის მასწავლებელი ა ლ ბ ო რ ა შ ვ ი ლ ი.

გადაყვანილ იქმნა კავკასიის პირველ მსროლელთა დრუჟინის პოდპორუჩიკი ბ ა რ ნ ო ვ ი—გორის ზურგის ჯარის რაზმში.

*** კავკასიის ოლქის ბ ა ტ ო ნ ი ს ა ნ ი ს ბ ა ტ ო ნ ი ს ა ნ ი ს ბ ა ტ ო ნ ი ს ა ნ ი ს

ლაქის მოუარავს და გამგეობის წევრებს. იმავე კრებაზედ, როგორც „ახ. მიმ.“-ს სწერენ, საბჭოს დაუდგენია დაუკლოს ჯამაგირი ქალაქის მდივანს. წინად მდივანი იღებდა 2,400 მანეთს, ეხლა-კი მიიღებს 1,800 მანეთს.

⁂ ადგილობრივის რუსულის გაზეთების სიტყვით, ქუთაისის გუბერნიის, ოზურგეთის მაზრის სოფ. ნიგოითისა და ლანჩხუთის მცხოვრებელთ შემდეგის შინაარსის თხოვნა გამოუგზავნიათ კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოებისათვის: 1895—1896 წლების წყალდიდობის შემდეგ რიონმა კალაპოტი გამოიცალა, რის გამო ყოველ წელიწადს გაზაფხულზედ მდინარე ნაპირებიდგან გამოდის და ჩვენს ყანებსა ჰლეკავს. რიონი განსაკუთრებით ნაპირებიდგან გადადის ამიერ კავკასიის რკინის გზის საჯევახოსა და ნიგოითის სადგურებს შუა. რიონს ემატება სამხრეთ მთებიდგან ჩრდილოეთისკენ მიმდინარე ხევები, რომელნიც ადიდების დროს რიონის შესართავთან მთელს ტბებს აყენებენ ხოლმე. ამ უბედურების ასაცილებლად, მცხოვრებლების აზრით, საჭიროა ხუთის ვერსის მანძილზედ გამართულ იქმნას წყლის შესაკავებელი კედელი. დასახლებული სოფლები სთხოვენ საზოგადოებას შუამდგომლობა აღძრას მთავრობის წინაშე იმის შესახებ, რომ გამართულ იქმნას ასეთი კედელი. ამასთან მცხოვრებლები ჰპირდებიან საჭირო მუშას ჩვენ თითონ გამოვიყვანთო.

⁂ გაზ. „ტფ. ფურ.“-ს ატყობინებენ ქუთაისიდგან: ხმა დადის, რომ აქ ამხანაგობა სდგება შუშის ქარხანის გასამართავადაო.

⁂ როგორც „ახ. მიმ“-ს სწერენ ოზურგეთიდგან, ამ ქალაქის თვითმმართველობის მიერ აღძრული შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ ქალაქს ნება დაერთოს თამბაქოთი და სასმელებით ვაჭრობის ნება რთვის პატენტები მისცეს ხოლმე მსურველთ, მთავრობას შეუწყნარებია.

⁂ იმავე გაზეთში დაბეჭდილია ის პირობანი, რომელიც წარუდგენია ბ-ნ რობის ქუთაისის ქალაქის თვით-მმართველობისათვის. კონცესიის ვადად რობი 40 წელს აღნიშნავს და არა 45 წელს, როგორც ეს ბ-ნ მიხაილოვის პროექტშია ნათქვამი. ქალაქის სასარგებლოდ გადადებული იქმნება რკინის გზის სრულის შემოსავლიდგან: პირველ 5 წელიწადს 3% წელიწადში, ე. ი. არა ნაკლებ 900 მანეთისა; მეორე 5 წელიწადს—3½%, არა ნაკლებ 1000 მანეთისა; შემდეგ თითო ხუთ წელიწადს მიემატება ნახევარ-ნახევარი პროცენტი, ასე რომ უკანასკნელ ხუთ წელიწადს 7% შესდგება, არა ნაკლებ 3000 მანეთისა წელიწადში. ბ-ნი მიხაილოვი-კი ჰპირდება ქალაქს პირველ 10 წელიწადს შემოსავლიდგან 1½% არა ნაკლებ 500 მან. წელიწადში, მეორე 10 წელიწადს 2½%, არა ნაკლებ 750 მანეთისა, მესამე 10 წელიწადს—3½%, არა ნაკლებ 1000 მანეთისა, ხოლო შემდეგ წლებში ოთხ-ოთხ პროცენტს შემოსავლიდგან ე. ი. არა ნაკლებ 1,250 მანეთისას. როგორც მიხაილოვის, აგრეთვე რობის პროექტით ქალაქს რკინის გზის გამოსყიდვა შეუძლიან 20 წლის შემდეგ. ამას გარდა, ამბობს ბ-ნი რობი, მე პირობას ვდებ ხელშეკრულობის მოწერის დღიდგან ერთის თვის განმავლობაში წარვუდგინო ქალაქს პროექტი იმისა, თუ როგორ ღონდა გამოიყენოს მდ. რიონის წყალი, რაიცა შეძლებას მისცემს საზოგადოებას მცირე სასყიდლით აღმოუჩინოს ქალაქს მმოძრავი ძალა. ეს ძალა საკმაო იქმნება ქალაქის ქუჩების გასანათებლად და, გარდა ამისა, ქალაქს შეუძლიან სხვა გვარადაც მოიხმაროს იგი. ყველა ამის გარდა ბ-ნი რობი ჰპირდება—სულ მცირე ხანში გავმართავ ქუთაისში ცხენის რკინის გზას, ხოლო შემდეგ, დადებულს ვადაზედ, ელექტრონით მოძრაობას შემოვიღებო. ამ პირობების უზრუნველ საყოფელად რობი თანახმაა წარუდგინოს ქალაქს 10,000 მან. წინდადი.

⁂ 20 დეკემბერს გიმნაზიის სადგომში მოხდა პირუტყვთა მფარველ საზოგადოების წევრთა საზოგადო კრება. კრებამ, სხვათა შორის, დაადგინა, სთხოვოს ამიერ-კავკასიის ყველა გუბერნატორებს განკარგულება მოახდინონ, რომ მეეტლეებმა და მეურმეებმა საქონლის გასარეკად ჯოხისა და სახრეების ნაცვლად უეჭველად შოლტები იხმარონ ხოლმე. ამავე კრებაზედ მოხდა არჩევანები თანამდებობის კაცთა მომავალის სამის წლისათვის. არჩეულ იქმნენ საზოგადოების თავმჯდომარედ-გენერალ მაიორი ი. ნ. რეიტერი, ვიცეთავმჯდომარედ—ლ. პ. მასტიცკი, გამგეობის წევრებად: ფ. ვ. ლისიცინი, ა. ა. პრისელკოვი და მ. ი. სალამბეკოვი; ხაზინადრად—ა. კ. ტერაბრამოვი და მდივნად—ვ. ო. აუშევი.

⁂ ქუთაისიდგან სწერენ „ახ. მ.“-ს, რომ მიწად-მოქმედების მინისტრმა წინადადება მისცა კავკასიის საიმპერატორო-სამეურნეო საზოგადოების ქუთაისის განყოფილებას,—მომავალ წელს ქუთაისში სასოფლო-სამეურნეო ნაწარმოებთა გამოფენა გაჰმართეთო, ამ გამოფენის პროექტისა და პროგრამის შედგენა საზოგადოების განყოფილების პრეზიდენტს მიუნდვია განსაკუთრებულ კომისიისათვის.

⁂ იგივე გაზეთი სწერს, რომ ტფილისის გუბერნიის სახელმწიფო ქონებათა გამგეობას რამდენმამე კაცმა მიჰმართა და სთხოვა მოგვიზომეთ მიწები ბორჩალოს მაზრაში, რათა ქვა-ნახშირისა და სპილენძის კვლევა-ძიებას შეუდგეთო.

⁂ ფოთი. 19 დეკემბერს ქალაქის საბჭომ განიხილა და დაამტკიცა მომავალი წლის ხარჯთ-აღრიცხვა. შემდეგ მოისმინა იმ კომისიის მიერ წარდგენილი თხოვნა, რომელსაც ამას წინად დაევალა, იზრუნოს ფოთის მომავალ ბიბლიოთეკა-სამკითხველოსათვის. თხოვნა ერთ ხმით იქმნა შეწყნარებული. საბჭომ დაადგინა, ყოველ წლობით 300 მან. ეძლიოს ბიბლიოთეკა სამკითხველოს. საბჭოს აგრეთვე მოხსენდა გამგეობის წინადადება იმის შესახებ რომ მომავალი წლის ხარჯთ აღრიცხვაში შეტანილ იქმნას შემწეობა დედათა საეპარქიო სასწავლებლისათვის, რომელიც ყ. დ სამღვდელო გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსის ალექსანდრეს მეთაურობით იქმნება დაარსებული. საბჭომ სახლის დაქირავება და მიწის მიცემა აღუთქვა. კომისია, რომელიც ზრუნავს მომავალ ბიბლიოთეკა-სამკითხველოსათვის, შეუდგა თავისს მოვალეობის შესრულებას. ორას მანეთზედ მეტი ფული აქვს მოგროვილი, ბინა მოუპოვა და დაიქირავა, ჟურნალ-გაზეთები გამოიწერა და სხვა. ასე რომ პირველ იანვრიდგან ყოველ იქვს გარეშეა, რომ ბიბლიოთეკა-სამკითხველო გვექმნება.

⁂ თელავი. 20 დეკემბერს ქართული სახალხო წარმოდგენა გამართა აქ ბ-ნმა მელქო ჰაჯი-მამუდოვმა. წარმოადგინეს „ადვოკატები“, კომედია სამს მოქმედებად, თხზულება თ. რაფ. ერისთავისა. ბილეთების ფასი იყო 10—60 კაპ. ამ სრიალის მიუხედავად ხალხი ცოტა დაესწრო წარმოდგენას. ამის მიზეზი ის იყო, რომ საზოგადოდ ჩვენი დიდ-კაცები არა სწყალობენ სახალხო წარმოდგენებს, და ამ საღამოსაც, თეატრში მოსვლის ნაცვლად, კლუბში საცეკვაო საღამო გაჰმართეს. წარმოდგენამ კარგად ჩაიარა. საუკეთესოდ შეასრულეს თავიანთი როლები ქ ნ იაშვილისამ, ბ ნთ ჭელიძემ, ბადურაშვილმა და ყაზახაშვილმა. სხვებმაც საკმაოდ კარგად ითამაშეს.

⁂ 22 დეკემბრიდგან შემდეგი ნახრი დაწესდა ხორცზედ: ძროხის ხორცი პირველი სორტისა—7 კაპ. გირვანქა, სუკი გირ.—12 კაპ., ცხვრის ხორცი—7½ კაპ., კამეჩის ხორცი—5 კაპ., ღორისა: ღორი (უკანა ფეხები)—11 კაპ., სხვა ნაწილები ტუკვით—7 კაპ., უტუკოდ—8 კაპ.

⁂ ნიკიტინის ცირკი წარმოდგენების გამართვას დაიწყობს შობის პირველ დღიდგან. დასი უკვე ჩამოვიდა ტფილისში.

დაბალ სოფელი

(მოწერილი ამბები)

ს. ანაგა, (სიღნაღის მაზრა). ანაგელებს ჭირნახული უხვად მოუგიდათ წელს; უმეტესად ღვინის მოსავლმა იჩინა თავი. ბევრმა გაჭყიდა ღვინო, ბევრსაც გასასყიდი აქვს. საზოგადოდ ანაგაში ღვინოები კარგი იცის და ფასიც კარგი აქვს ხოლმე; მაგრამ წელს ისე დაიფდა, რომ საშალნე 45—65 მ. ისყიდებოდა. ამ ბოლო ხანებში ღვინის ფასმა ისევ აიწია და ეხლაც თან-და-თან მატულობს. მართალია ღვინის სიუხვემ ჩვენი სოფლელნი დიდად გაახარა, მაგრამ ერთის მხრით ზარალიც მოუტანა: გაიგლით ბაზარში და გესმით „კარხალოდოს“ ძახილი; ამის იყო 10—60 კაპ. ამ სრიალის მიუხედავად ხალხი ცოტა დაესწრო წარმოდგენას. ამის მიზეზი ის იყო, რომ საზოგადოდ ჩვენი დიდ-კაცები არა სწყალობენ სახალხო წარმოდგენებს, და ამ საღამოსაც, თეატრში მოსვლის ნაცვლად, კლუბში საცეკვაო საღამო გაჰმართეს. წარმოდგენამ კარგად ჩაიარა. საუკეთესოდ შეასრულეს თავიანთი როლები ქ ნ იაშვილისამ, ბ ნთ ჭელიძემ, ბადურაშვილმა და ყაზახაშვილმა. სხვებმაც საკმაოდ კარგად ითამაშეს.

⁂ 22 დეკემბრიდგან შემდეგი ნახრი დაწესდა ხორცზედ: ძროხის ხორცი პირველი სორტისა—7 კაპ. გირვანქა, სუკი გირ.—12 კაპ., ცხვრის ხორცი—7½ კაპ., კამეჩის ხორცი—5 კაპ., ღორისა: ღორი (უკანა ფეხები)—11 კაპ., სხვა ნაწილები ტუკვით—7 კაპ., უტუკოდ—8 კაპ.

⁂ ნიკიტინის ცირკი წარმოდგენების გამართვას დაიწყობს შობის პირველ დღიდგან. დასი უკვე ჩამოვიდა ტფილისში.

ყველაფერი ხელს უწყობდა დიდებულ დანიშნულებას ადამისას—იგი დაიბადა თავისის ქვეყნის იმ ნაწილში, რომელსაც სახელად ეწოდება ლიტვა და რომელიც მივარდნილ ტყეებში მდებარეობს, მაგრამ არც ერთი უბედურება არ დასტყდომია პოლონეთს, რომ ამ კუთხეს თავზედ არ გარდახდომოდეს.

ადამი იზრდებოდა პირველად სოფელში, შემდეგ დადიოდა სკოლაში პატარა დაბა ნოვოგრუდკაში, რომელიც ოდესმე ლიტვის თავადთა ძველებური ქალაქი იყო. აქ გაიცნო მან წარსული დიდება, ნახა სოფლის ხალხი და აი ამ წმინდა ანკარა წყარომ, ხალხის გარდმოცემამ შთაჰბერა მას პირველად შემოქმედებითი ძალა.

მშობლები ვერ დაიქადებდნენ სიმდიდრეს, მამა ვექილი იყო, საკუთარი სახლი ჰქონდა ნოვოგრუდკაში. მისი სახლობა შესდგებოდა ცოლისა და ხუთის შვილისაგან. მშობლიური განწყობილება და სიყვარული ისეთი ძლიერი ჰქონდათ, რომ დიდებული ადამი ამბობდა შემდეგ: „როდესაც იმათ გავიხსენებ, ყველაზედ უმეტესად განმიკარდება ხოლმე აუტანელი ჟამი განძევებისა“.

დომინიკანების სკოლაში, ქ. ნოვოგრუდკაში, მან ნიჭი და მეცადინეობა გამოიჩინა. მაშინდელ მოსწავლეთა შორის მამულიშვილური მიმართულება არსებობდა, მათ იდეალად ჰქონდათ მიეგებაათ ძველებურ გმირებისთვის. ამ მიმართულების დროს, 1812 წელს და ნაპოლეონ 1 მოსვლას არ შეიძლებოდა არ ემოქმედნა ახალგაზდა გონებაზედ. წარმოიდგინეთ, რა მდგომარეობაში უნდა ყოფილიყო ნორჩი ადამი: ყოველ დღე იდგა სახლის ღობესთან და ათვალიერებდა ფრანგების მეომართ, რომლებიც დაბინავებულიყვნენ მისის მშობლების სახლში; ყურადღებით აკვერდებოდა იმათ ქუდებს, ტანთსაცმელს. ერთხელ კიდეც გაჰბედა და მიმართა ერთ „ვეტერანს“ [1]) შემდეგის სიტყვით: „ეგეთი მოხუცი ხართ და ამ სიშორეს რათ წამოსულხართ“. გრენადერმა დაუწყო თეთრულვაშს გრეხა და უპასუხა: „ამას მარტო ხომ არ გამოუშვებდ-თ“. ამ სიტყვებმა დიდად იმოქმედა ადამზედ მაშ ამ ძველ „ვეტერანებს“ ისე უყვართ ნაპოლეონი მისის გმირობისათვის, რომ იმათთვის არაფერია ის 50 ხალხი, რომლებიც მათ გადმოჰლახეს, ოღონდ კი ნაპოლეონი უიმათოთ მარტო არ დარჩენილიყო. ერთს თავისს უკეთესს პოემაში „პანთადეუშში“ აღწერს, რა გავლენა იქონია იმაზედ ამ სიტყვებმა. შემდეგი დაწიოკებული დაბრუნება დიდებულის ნაპოლეონის ჯარისა საშინელს სასოწარკვეთილებაში აგდებს აღფრთოვანებულ მამულიშვილებს, ნოვოგრუდკის პატარა მოსახლეც თავისის თვალით ჰხედავს ამ დაწიოკებას და არასოდეს აღარ ავიწყდება ეს ამბავი.

1415 წელს ადამი შედის ქ. ვილნოს უნივერსიტეტში, რომელიც განთქმული იყო მაშინ უკეთესის პროფესორებით; მათ შორის ბრწყინავდნენ განთქმულნი პოლონელნი სწავლულნი სნიადეცკი და ლელეველი. მიცკევიჩი მოვიდა ვილნოში თავისს მეგობარ ამხანაგ იან ჩეჩოტთან ერთად, შეესვლის უმალ გაიცნო უნივერსიტეტის დარბაზში მინსკის გიმნაზიის სტუდენტები თომაშ ზანი და სუზინი. ახალ მოსულები უნივერსიტეტში ერთმანერთს ჰმეგობრობდნენ, ჩქარა გამოერჩივნენ თავიანთ ამხანაგებ შორის და ლიტვის ახალგაზდათა მეთაურები შეიქმნენ. რადგანაც ერთნაირი მხურვალე მისწრაფება და იდეალი ჰქონდათ, თომაშ ზანის მეთაურობით გადასწყვიტეს ემუშავნათ, თავის ნორჩი ღონის და გვარად, სამშობლოს სასარგებლოდ. და აი, არსდება ამხანაგობა „ფილარეტები სა“,[2]) რომლის თავმჯდომარედ არის ზანი და რომელსაც საგნად აქვს მეცნიერება და პატიოსნება. იმ წრეში მიიღო მონაწილეობა მთელმა დარჩეულმა ახალგაზდობამ იმ უნივერსიტეტისამ. აღთქმასა სდებენ ზანის წინ, მთელი თავის სიცოცხლე იშრომონ თავის სამშობლოს, სარწმუნოებისა, მეცნიერებისა და პატიოსნებისთვის; უნივერსიტეტის გათავების შემდეგ ეცადნენ, რომ მათი ნორჩი ღონე უმოქმედოდ არ დაშვრეს.

სამშობლო იყო უპირველესი სატრფო მიცკევიჩისა. თავისის სიცოცხლის დასაწყისშივე ჩაეწერა იგი მის მოტრფიალეთა რიცხვში და არასოდეს არ დაჰვიწყებია, რომ იგი თავისს თავს არ ეკუთვნოდა.

1819 წელს, რაკი დაამთავრეს სწავლა უნივერსიტეტში, მეგობრები დაიფანტნენ სხვა და სხვა ადგილას და აღთქმა დასდეს შეძლების და გვარად ჰნ ხონ ერთმანერთი და კავშირი არ შესწყვიტონ.

ადამი დანიშნეს მასწავლებლად ქ. კოვნოს გიმნაზიაში, აქ დასწერა მან პირველი თავისი პოემა „გრაჟინა.“ შიგ აწერილია გმირი ლიტოველი ქალი, თავადის მეუღლე, რომელიც იცავს თავისს ქმარს სირცხვილისაგან, იცვამს კაცის ტანისამოსს, მიჰყავს ლიტველები საომრად და ჰკვდება ლიკოსელების ორდენთან ომში. ამ დროს ადამი წავიდა საზაფხულოდ სოფელში ზანთან ერთად ბ-ნ ვერეშჩაგინებთან, ნოვოგრუდკის ახლოს, სადაც შეეყვარდა თავ-დავიწყებამდე მათი ასული მარილლია. მაგრამ—დახე უბედურებას!—მარილლია დანიშნული ჰყავდა გრაფ პუტტკ მერს. ყმაწვილი ქალი თანაუგრძნობს ადამის განუსაზღვრელს სიყვარულს, მაგრამ ერთხელ მიღებულის ქორწინების წესის დარღვევა არ შეუძლიან. ჰშორდებიან ერთმანერთს: ადამი გულ-ჩათხრობილი ჰბრუნდება უკანვე, მარილლია სასოწარკვეთილებით მისდევს პუტტკამერს ეკკლესიაში. ამ სიყვარულმა უფრო აღაფრთოვანა ჩვენი პოეტი და ერთი მეტი ხაზი გაავლო მისს ცხოვრებაში. ამის შემდეგ ყოველ თავისს ნაწერში იხსენიებს იგი მარილლიას.

1823 წელს სენატორი ნოვოსელცევი დანიშნა ვილნოს კურატორად [3]). მოსვლის უმალვე ვილნოში განკარგულება გასცა რექტორ ტვარდოვსკის, გამოიძიოს საქმე „ფილარეტთა“ ამხანაგობისა. დააპატიმრეს დიდ-ძალი ახალ-გაზდობა. საქმე 1824 წელს დამთავრდა. ახალ-გაზდობის უმეტესი ნაწილი გაჰგზავნეს ციმბირში: ზანი, ჩეჩოტი და სუზინი ორენბურგში; მიცკევიჩი, იეჟოვსკი, მალევსკი, დომეკო, კოვალევსკი, განათლების მინისტრის განკარგულებით, გაგზავნილ იქმნენ ყაზანში მასწავლებლებად, მხოლოდ მიცკევიჩი და მალევსკი პეტერბურგიდგან დააბრუნეს ოდესის გუბერნატორის კანცელარიაში. აქედგან ის ჰმოგზაურობდა ყირიმში, რომელიც შეამკო თავისის მშვენიერის „ყირიმის სონეტებით“. ეს სონეტები ყველა ევროპიულ ენაზეა გადათარგმნილი. ჩქარა აქედგან მიცკევიჩი მალევსკისთან ერთად გადაყვანილ იქმნა მოსკოვში, სადაც მისცეს ადგილი გე-

[1]) ძველი მეომარი.

[2]) ბერძნულად ჰნიშნავს „კეთილ მოქმედების მოყვარულთა“-ს. მთარგმ.

[3]) ვილნოს სამოსწავლო ოლქის მზრუნველად.

შემდეგ თქვენ დაინახავთ ჩხუბს, ერთ კაიუშკელებელს, ხანჯლის ტრიალს. ორი კაცრა იქნება მას შემდეგ, რაც ერთმა ბლეგმა თავისი ბიძაშვილი სასიკვდილოდ დასჭრა და საწყალს დასტოგებინა ახალგაზდა ტოლშვილი.

საუბედუროდ, სხვაფრივაც იმატა ბორბოტ-მოქმედთა რიცხვმა. ამ მხრივ ჩვენი მეზობელი სოფელი კარდენახი იყო განთქმული და ახლა-კი ჩვენც ალარ ჩამოვრჩებით მას უკან. სულ ტოტა ხანში შემდეგი ბორბოტ მოქმედება მოხდა აქ: ერთს ბლეგს 12 ურემი თივა დაუწვეს; მეორეს სიბეღელი დაუწვეს, მაგრამ მესამე ბორბოტ-მოქმედებამ უკვლას გადააჭარბა. აი საქმე რაშია: ერთს ქვრივს დედაკაცს ლამაზი გასათხოვარი ქალი ჰყავდა, რომელზედაც ბევრს უმწეოდ კაცს ეჭირა თვალი, მაგრამ დედა-კი ქალს ჯერ არ ათხოვებდა. სამი ბლესი ერთს ღამეს დასესხა იმ სახლს, სადაც მათ სატრფო ეგულებოდათ, მაგრამ, მათდა საუბედუროდ, იქ არ დაუხვედათ ქალი; იგი დედით ნათესავებთან ეოფილიყო იმ ღამეს. ქალი ვერ მოიტაცეს ამ კაკუბატონებმა, მაგრამ სახლი-კი გაცარცვეს: გაიტანეს სუფრაელისფერი, რაც მოხვდათ ხელში და, სხვათა შორის, ქალის კაბები, სატვლები და ფულად 25 მანეთი. ამ სამკაულს დედა, როგორც მოთხრეს, ქალიშვილს უმზადებდა მზითვად.—ესლა საბრალო დედა და შვილი დალონებულნი დადიან და ხან ვის აბრალებენ თავს და ხან ვის!

სამრეკლო სკოლის შენობის პატრონმა ალარ ისურვა ამ სახლის გაქირავება და მოსწავლეთ და მასწავლებელს კარები ჩაუკეტა. სამრეკლო სკოლების მთავრობამ 600 მან. გადასდო, რათა ამდენიგე თავისს მხრივ სოფელმაც გაიწროს და 1,200 მანეთად სასკოლო შენობა ააგოს. დამდეგს იანვარს მამასახლისის არჩევანები იქნება. იმედი გვაქვს, ახალი მამასახლისი მაინც ითავებს და წყაროს გაგიკეთებს, თორემ აგერ 4—5 წელიწადია ვედით ამ საქმის რიგზედ მოყვანას, მაგრამ არა ეშველა-რა.

ბაგრატ ანაგელი

რუსეთი

—

„рус. л.“-ის სიტყვით სახელმწიფო საბჭო უკვე შეუდგა განხილვას პროექტისას ქალაქ ეკატერინოსლავში უმაღლესის სამთო სასწავლებლის დაარსების შესახებ.

— ფინანსთა სამინისტრომ გადასწყვიტა გამოსცეს ა. ს. პუშკინის საუკეთესო თხზულებანი და პუშკინის დაბადებიდგან ასის წლის შესრულების დღეს უსასყიდლოდ დაურიგოს თითო წიგნი ამ სამინისტროს სასწავლებლებში მოსწავლეთ.

— უწმ. სინოდმა შეიმუშავა ის წესრიგი, რა წეს-რიგითაც უნდა იქმნენ ხოლმე დანიშნული სამრევლო-საეკლესიო სკოლებში მასწავლებლებად მაღალ და საშუალო სასწავლებლებში სწავლა დამთავრებულნი და აგრეთვე ისიც, რა საგნებში და როგორ უნდა მოხდეს გამოცდა იმათი, ვისაც საშუალო სასწავლებელი არ გაუთავებია, ხოლო მასწავლებლობის მოწმობის მიღება-კი ჰსურს. იმათ, ვისაც უმაღლეს ან საშუალო სასწავლებლის გათავების მოწმობა აქვს მიღებული, დაუბრკოლებლივ დანიშნავენ მასწავლებლად, მხოლოდ ერთი გამოსაცდელი გაკვეთილი უნდა მისცენ მათ. ასევე დაუბრკოლებლივ დანიშნავენ მასწავლებლად, გამოსაცდელ გაკვეთილის შემდეგ, იმას, ვისაც სემენარიის პირველი ოთხი კლასი დაუმთავრებია. ისინი-კი, ვისაც ვაჟთა ან ქალთა გიმნაზიების უფროსი (V—VIII) კლასები დაუმთავრებია და ან საეპარქიო სასწავლებლის მე—V—VI კლასიდგან გამოსულა, გამოცდილ უნდა იქმნან ზოგიერთ საგნებში. ამისათვის განსაკუთრებული საეგზამენაციო კომისია იქმნება დანიშნული.

უცხოეთი

—

საფრანგეთი. კარგი ხანია მას შემდეგ, რაც გაზეთებმა ხმა გავრცელეს, რომ სიადუმლო დოსიეში, ერთი ულაბი წერილია, ანრის მიერ შეთხზული, რომელიც ვითომ გერმანიის იმპერატორს კიდეველმს მიეწეროს დრეიფუსისათვისო. ცნობილს ულაზეფ რეინაკს გაზეთ „Siécle“-ში წერილი დუბეჭდია ესლახან, რომელშიაც განმორებით ამტკიცებს იმპერატორ კიდეველმის სახელობით შედგენილს წერილის არსებობას, მაგრამ ამასთანავე შიშობს, კი თუ იგი წერილი დამალონ და სხვა საბუთის ქალალდებთან ერთად საკასაციო პალატას არ აჩვენონო. სსენებულ წერილის არსებობის შესახებ უჭვი სრულებითაც არ აქვს რეინაკს. ბარკელად დრეიფუსმა ამტნო სიზოგადოებას თავისს გაზეთში იმპერატორ კიდეველმის წერილის არსებობა და შემდეგ იგივე განიმეორა როშეფორმა, სხვა-და სხვა დაწერილებითი გარემოებათა ზედ დამატებით, რომელნიც მთავარ შტაბის უფროსად ნამყოფის, გენერალ ბუადერფეის, კონტადარიის გამგეს გარდასცა როშეფორსო. ხსენებულ წერილის არსებობა ადიარა ზოლას საქმის გარჩევის დროს ანრიმატო.

გაზ. „Roppel“-ი ამტკიცებს, ვითომც მთავრობას საკმაო საბუთები ჰქონდეს ხელთ იმის დასამტკიცებლად, რომ იმპერატორ კიდეველმის სახელითაა შეთხზულ წერილის ავტორი ნამდვილად ანრი იყოო. ამის გამო, გაზეთის სიტყვით, საკასაციო სასამართლო ჩვენებას ჩამოართმევს ამ დღეებში: გრუსეს, როშეფორს, ბუადერფეს, რეინაკს, ყოფილს, კლემანსოს და ფრეისინეს.

— როგორც ვიცით, ბოლგოვნიკის ანრის ქვრივმა გამოუცხადა, რომ ჩემს ქმრის სახელს შეურაცხყოფა მიაყენა რეინაკმა და სასამართლოში უნდა ვუჩივლოთ. თავ-გამოდებულმა ანტიდრეიფუსარმა, დრიუმონმა, თავისს გაზეთ „Libre Parole“-ში სელის მოწერა გაჭმართა ანრის ქვრივისათვის რეინაკთან საჩივრის საწარმოებლად. სულ რამდენიმე დღის განმავლობაში 110 ათასი ფრანკი მოგროვდა. ბევრმა ადვოკატმაც წარადგინა ფული ამ საქმისთვის და მათ შორის გენერალმა მერსიემ, რომელმაც ითავა 1894 წელს დრეიფუსის სამართალში მიცემა. მაგრამ რა გორც ალმოჩნდა, ადვოკატებს კანონით აღკრძალული ჰქონიათ პოლიტიკურს დემონსტრაციებში მონაწილეობის მიღება. ამის გამო სამსჯავრო მინისტრს ბ-ნ ფრეისინეს განუზრახავს იმ ადვოკატების დახჭა, რომლებმაც ანრის სასარგებლოდ ფული წარადგინეს და მასთანვე უდიერად მოიხსენიეს სამოქალაქო უწყება და სასამართლო. გარდა ამისა ფრეისინეს მიწერილობა გუგზავნია გორბუსის უფროსებისათვის და მოუგონია მათთვის მისივე ტირაჟულიარი, 1889 წელს გამოცემული, რომელშიაც ნაბრძანებია, რომ ადვოკატებს აღკრძალული აქვსთ პოლიტიკურს აგიტაციებში გარევა.

—

ესპანია. სხვა უბედურებასთან ერთად ესპანიას ეხლა ისიც ზედ დაერთო, რომ იქაური გენერლები კერ მორიგებულან ერთმანეთ შორის და უპირატესობის შესახებ ერთი შუალი და კი-კაკლახი აქვთ ატეხილი. ამ სამარცხვინო საქმეში პირველი ადგილი უჭირავს კუნძულ კუბის მთავარ მოქმედ-გენერალებ კეილერს, ბლანკოს და კამპოსს.

კეილერს, რომელსაც კარის დიდი ნაწილი მხარს უჭერს, სურს ალარ ემორჩილოს სტრობა უნდა თურმე, მაგრამ კამპოსი, ბლანკო, ლაშეტ-დომინგეტი და პრიმო რიეგეა ეტიდებიან მას და არ უნდათ, თუ-კი რამე გაუხდათ, ეს დიდი თანამდებობა მას ჩაუგდონ ხელში. ამ უკანასკნელთ დიდი თანხები ჰქონიათ ერთმანეთ შორის და კარდაუწყვეტიათ წინააღმდეგობა გაუწიონ კეილერს.

—

ტრანსვაალი. ორი წელიწადი არცკი არის მას შემდეგ, რაც დოქტორი ჯამსონი მტირე რაზმით ტრანსვაალის რესპუბლიკას შეესია, რადა იქმა უნდა, მისის მთავრობის მინდობილობით, რომ ინგლისს რაიმე საბუთი მისცემოდა ტრანსვაალის საქმეში ჩარევისა და ამ პატარა ქვეყნის დაპყრობისა. კინ იცის, ეს იქნებ მაინც ასე მომხდარიყო, გერმანია რომ არ გამოსარჩლებოდა ტრანსვაალს. დატყვევებული ჯამსონი ტრანსვაალის მთავრობამ ინგლისს დაუბრუნა და ატეხილი უსიამოვნება რამდენიმე მითქმა-მოთქმისა და მიწერ მოწერის შემდეგ მიეუჩდა. ამ ყამად, როგორც გაზეთები იუწყებიან, ხელ-ახალი შეტაკება მოსვლია ერთმანეთთან ინგლისს და ტრანსვაალს.

14 დეკემბერს ტრანსვაალის ქალაქ იოჰანესბურგში ბოერ პოლიტიკელს ინგლისის ქვეშევრდომი ედგარი მოუკლავს. მკვლელს 200 გირ. სტერლინგი წარუდგენია და დატუსაღებას გადრჩენილა. ამის გამო ინგლისელებს მიტინგი მოუხდენიათ იოჰანესბურგში, ტრანსვაალის მთავრობისათვის წინააღმდეგობის გამოსაცხადებლად. ამ მიტინგზედ დაუდგენიათ, თხოვნა გუგზავნონ ინგლისის დედოფალს კიქტორიას, რომ იმან დონის ძაება მიიღოს, ედგარის მკვლელი პოლიტიკელი პირუთვნელად იქმნას განსამართლებული და საზოგადოდ დატუ იქმნას უფლება და ქონება ინგლისის ქვეშევრდომთა ტრანსვალ-გუბერნატორის კანცელარიაში. აქ, მოსკოვში, 1828 წელს დასწერა ადამმა ერთი საუკეთესო თავისს პოემათაგანი: „კონრად ვალლენროდი“, სადაც აღწერს ისტორიულ ამბავს ჯვაროსანთა დაცემისას [4]) ლიტვაზედ. კონრად ვალლენროდი, შთამომავლობით ლიტვინი, ბავშობაში წაყვანილ იქმნა ტყვედ ჯვაროსანთაგან; იქ გაიზარდა, შემდეგ არჩეულ იქმნა ორდენის უფროსს „მაგისტრად“, მაგრამ მაინც არ დაჰვიწყებია თავისი სამშობლო. როგორც ორდენის მეთაურს, რაზმი შეჰყავს განსაცდელში; ღალატი აშკარავდება, ორდენი სიკვდილს გადაუწყვეტს. კონრადი თავისს თავს თითონვე სწამლავს და გაღიმებული კვდება. პირველად რომ დაიბეჭდა ეს პოემა პეტერბურგში, დიდი ხმა გაუვარდა ადამს. რაც-კი მაშინ განათლებული ხალხი იყო მოსკოვსა, ან პეტერბურგში ყველა სცდილობდა დაახლოვებოდა პოეტს. პუშკინი, თავ. ვიაზემსკი, ბორსუკოვი, პოგოდინი, კოზლოვი, პალევოი და ჟუკოვსკი აღტაცებით სთარგმნიდნენ იმისს „სონეტებს“. აგონებდნენ, რომ იგი არამც თუ ბაირონის მიმდევარი იყო, არამედ თითონ შეიქმნებოდა პოეზიის ღმერთი. [5])

ზენაიდა თავ. ვალკონსკის მეუღლის სახლში, მოსკოვს, იკრიბებოდა მაშინ რაც-კი უკეთესი განათლებული ხალხი იყო რუსეთში,—ამ საღამოებზედ აღფრთოვანებულს მიცკევიჩს არა ერთხელ შეუთხზავს ხელდა-ხელ შესაფერი ლექსები. როცა პეტერბურგში მიდიოდა, გამოსალმების დროს, რუსმა მეგობრებმა მიართვეს ვერცხლის თასი (აზარფეშა), ზედ-წარწერილი იმათის გვარებით; მიცკევიჩმა ლექსით მადლობა გადაუხადა, რის გამოც პოეტმა ბარიატინსკიმ დაიჩოქა იმისს წინაშე და წამოიძახა: „Mon Dieu, pour quoi h'est il pes russe [6]).

მიცკევიჩს მეგობრები ლიტვაში და აგრეთვე მისი განუყრელი მეგობარი ყოველ უბედურების დროს მალევსკი ჰგრძნობდნენ, რომ გენიოს მიცკევიჩისათვის უფრო ფართო ასპარეზი იყო საჭირო, ამიტომაც ჰფიქრობდნენ ადამი ჩქარა გაესტუმრებინათ საზღვარ-გარეთ. კარგა ცდის შემდეგ, პასპორტის შესახებ, ადამს ელირსა 15 მაისს 1829 წელს კრონშტადს გემში ჩაჯდომა, მაგრამ რას წარმოიდგენდა, რომ მთელს თავისს სიცოცხლეში აღარ ელირსებოდა თავისის საყვარელის სამშობლოს ნახვა.

რომში შეხვდა კიდევ ზენაიდა თავ. ვალკონსკისას. იმისს სახლში ორის ზამთრის განმავლობაში ჰხედავდა მთელის ქვეყნის გამოჩენილ კაცთ, მაშინ იმას სლოვანთა ქვეყნის პოეტიურ გენიოსს ეძახდნენ და ადიდებდნენ.

დადგა 1831 წელი, დრო პოლონეთის აჯანყებისა, მიცკევიჩს უნდოდა სამშობლოში დაბრუნება, მაგრამ აღუკრძალეს. 1834 წელს პარიჟში მან ცოლად შეირთო ცელინია შიმანოვსკი, გამოჩენილ ფორტოპიანოს დამკვრელ და „ფილარეტების“ მეგობრის ქალი. ადამი იმის სახლში, პეტერბურგს, ატარებდა უკეთესს დროს, რუსეთში გაძევების დროს. დაქორწინების შემდეგ ჯერ დაბინავდა ჟენევაში, შემდეგ ლოზანაში, სადაც იყო უნივერსიტეტის პროფესორად, ბოლოს მიწვეულ იქმნა პარიჟში, „College de France“-ს ახლად დაარსებულ სლოვანთა ლიტერატურის კათედრის დასაჭერად. მისის ლექციებიდგან შესდგა მშვენიერი თხზულება „Preleksyi“. მთელი ქვეყანა იყრიდა თავს ამ „პრელექციების“ სასმენად და აღტაცებაში მოდიოდა. ამავე დროს მისმა გენიოსურმა ძალამ, გულ-ჩათხრობილი თავისის ქვეყნის უბედურობით, სავსებით გაშალა ფრთა თავისის განვითარებისა, მან შეჰქმნა უდიდესი პოემა „პან თადეუში“. იქნება არა ქვეყანას ისე არ მოჰქონდეს თავი, როგორც პოლონეთს ამ თხზულებით; იგი არის ეპოპეია, რომელიც აღწერს ლიტვას, იმისს ჩვეულებას, იმისს ვარამს, იმისს სიამოვნებას. მისი გმირი პოლონეთის გამოჩენილ გენერლის, თავისუფლების მეომარის, თადეუშ კოსტიუშკოს სახელით არის მონათლული. მიცკევიჩის თადეუში შვილია ნოვოგრუდკის მებატონისა, ჰბრუნდება ვილნოს უნივერსიტეტიდგან სახლში. იმ დროს უხვდება დაბრუნება, როდესაც პოლონეთის ახალგაზდობა უერთდება ნაპოლეონის დროშას, რომ მასთან ერთად იომოს. ეს თხზულება აღწერს 1812 წელს, ყველა იმას, რაც მიცკევიჩმა გამოიარა თავისის ახალგაზდობის დროს. ყველა ევროპიულს ენაზეა გადათარგმნილი ეს დიდებული ნაწარმოები.

მთელს სიცოცხლეში მიცკევიჩი ერთგული იყო თავისის მიმართულებისა და იდეისა. „ოდა ახალგაზდობის მიმართ“, თითქმის არის მოგონება იმ აღთქმისა, რომელიც დასდეს ფილარეტებმა ოდესმე ზანის წინაშე, როცა ამხანაგობას არდგენდნენ.

პოემას „Dziady“ („პაპები“, დღე დანიშნული ლიტვაში მიცვალებულების სულის მოსახსენებლად) ამ თხზულებას უფრო მისტიციური ხასიათი აქვს. იქ აწერილია განწირული მდგომარეობა ფილარეტების განდევნის შემდეგ.

1855 წელს, ყირიმის ომის დროს პოლიტიკურ მოსაზრებათა გამო წავიდა ქ. კონსტანტინეპოლში და აი აქ, რამდენისამე საათის ხოლერით ავადმყოფობის შემდეგ, გარდაიცვალა 26 ნოემბერს 1855 წ., დაამბლა თავის შვილები და მთელი თავისი ერი.

ნეშტი დიდებულის პოეტისა კონსტანტინეპოლ-დგან დროებით გადასვენებულ იქმნა პარიზში. დიდი ხანი არ არის, რაც იგი პარიზიდგან გადასვენეს ქ. კრაკოვში, პოლონეთის მეორე დედა-ქალაქში, ავსტრიის საზღვართა შუა. აქ განისვენებს ვაველანზედ [7]), პოლონეთის მეფეების აკლდამაში, მათ ნეშტთან ერთად. დიდი ხანია ქვეყანას ამისთანა დასაფლავება არ უნახავს. მთელი ერი გარბოდა, რათა პატივი ეცა მისთვის, ვინც იმათს გულში ახალი სიცოცხლე შთაჰბერა.

წრეულს სრულდება ასი წელიწადი ამ გენიოსის დაბადების შემდეგ. იმპერატორმა ნიკოლოზ II, გენერალ გუბერნატორის უგანათლებულესის თავ. იმერეტინსკის შუამდგომლობით, ნება დართო დადგმულ იქმნას ძეგლი ქ. ვარშავაში. ამ ძეგლს აკურთხებენ დღეს, 24 დეკემბერს. ერთის თვის განმავლობაში შეგროვდა 200,000 მან. [8]) შეჰქონდა ყველას თავისი წვლილი, უბრალო, და-

[4]) აქ აწერილი „ჯვაროსნები“ არის ლიეონთა ორდენი, რომელიც დაარსდა შუა საუკუნოებში ეხლანდელ დასავლეთ-ჩრდილოეთ რუსეთში და მეხვილით უნდოდათ დაემკვიდრებინათ კათოლიკობა ამ ქვეყანაში.

[5]) დაუმეგობრდა მიცკევიჩი აგრეთვე „დეკაბრისტებს“: პესტელს, რილიევს, ბესტუჟევს, მურავიოვს და სხვ., რომელთაც, შემდეგ, პარიჟში ყოფნის დროს, უძღვნა მშვენიერი ლექსი „მეგობარ მოსკალებს“.

[6]) ღმერთო ჩემო, რატომ იგი რუსი არ არის.

[7]) ვაველანი, მთაა კრაკოვში, რომელზედაც მდებარეობს სამეფო სასახლე და აგრეთვე სამეფო სასაფლაო-აკლდამა.

[8]) მარტო 200.000 მანეთის მოკრების ნება იყო დართული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალში. ამაგე კრებას მრავალი ბოერი დასწრებია და ინგლისელებსა და იმათ ხელდახელ შეტაკებს მოსალოდნათ ერთმანეთთან. ერთის ინგლისელისათვის ტანისამოსი შემოუკლეკიათ. სამი კაცი დაუტუსაღებია ბოლიციას. ინგლისელებს თავიანთი ახოვნა ინგლისის კიცე-კონსულისათვის გარდაუცია ლონდონში გასაგზავნად და იმასაც ბირობა მიუცია, გაგზავნიო.

ცხადია, ეს საქმე ადვილად არ გათავდება და ვინ იცის, რა გარემოება არ დაერთვის ზედ. ჯერ-ჯერობით ყოველ შემთხვევაში არავრის თქმა არ შეიძლება იმის შესახებ, ამ საქმეს კერძო ხასიათი აქვს, თუ განგებ არის იგი გამოწვეული ბოლიტიკურის მოსაზრებით.

სასამართლოს მატიანე

ყანდარმის ოზეროვის ცოლის მოკვლის საქმე.

ამ წლის იანვარში, ღამე ფხაკაძე და მაღალაშვილი იარაღით ხელში თავს დაეცნენ ავჭალის ქუჩაზე მეწვრილმანის სულხანოვის დუქანს. დუქნიდგან წაიღეს დახლი ფულით. მედუქნის სულხანოვის ყვირილზე გამოვარდა სახლის პატრონის შვილი, რომელიც ფხაკაძემ და მაღალაშვილმა მსუბუქად დასჭრეს თოფით. ამავე დროს ფურნეში პურის სასყიდლად მიდიოდა ყანდარმის ოზეროვის ცოლი ფეოდოსია თავისის 13 წლის ქალით. ფეოდოსია ოზეროვისას მოხვდა მეორე ტყვია. მძიმედ დაჭრილი ქ-ნი ოზეროვისა გარდაიცვალა.

ოზეროვის მოკვლის ბრალი დასდეს ფხაკაძესა და მაღალაშვილს, რომელნიც სამართალში იქმნენ მიცემულნი. ოლქის სასამართლომ ორთავეს რვა წლით კატორგა მიუსაჯა.

ფხაკაძემ საქმე პალატაში გადიტანა, მაღალაშვილმა-კი წერილით გამოუცხადა პალატას, ოლქის სასამართლოს განაჩენით კმაყოფილი ვარო და თან დასძინა: ბოროტმოქმედება მე ჩავიდინე და ერთმა ჩემმა ამხანაგმა ივანე გამრეკელიძემაო. პალატამ საქმე ხელმეორედ გამოიძია, მაგრამ გამრეკელიძე სრულიად არ აღმოჩნდა დამნაშავე და ფხაკაძის დანაშაულის დასამტკიცებელი საბუთები ისევ ისე დარჩა.

სამოსამართლო პალატამ დაამტკიცა ოლქის სასამართლოს განაჩენი.

ᲓᲐᲛᲐᲙᲕᲘᲠᲓᲘ

სსუათა ბიერსა ჭსედვ და შენსა კერ, ნუ შეშვე კერცა მათსა მრუმე (შაკი) თუ იო.

ნიკოლოზ ტფილელი

* * *

არიან კაცნი ჭაერისა მცემელნი, რომელნი მრავლის მეტუფლობითა დიდთა კეთილთა მცირე კეთილითა დამკობილ ჭეოფენ.

იონა მონაზონი

* *

თუ არ ძალ-ძიძს მთელის ქვეყნის მბრძანებლობა, ჩემის საკუთარის თავის მბრძანებლობას მაინც გავწევ.

ებერსი

ᲟᲣᲠᲜᲐᲚ-ᲒᲐᲖᲔᲗᲔᲑᲘᲓᲒᲐᲜ

(ამოკრებილი ამბები)

ლონდონის ერთს მოშორებულ კუთხეში, ჰაიდ-პარკში, არის ერთი შესანიშნავი სასაფლაო. ამ სასაფლაოზე დამარხულია სამასამდე ძაღლი. სასაფლაოზე მრავალი ძეგლია ზედ წარწერებით. მაგალითად, ერთს ძეგლს აწერია: „ძვირფასი ჟოკი! გონიერი, ერთგული და გამგონე ძაღლი. ვინც-კი იცნობდა, ყველას ძლიერ უყვარდა!“ მეორე ძეგლს აწერია: „ხსოვნა ორფისა, ერთგულისა და კარგის მეგობრისა, რომელმაც დაგვტოვა მეტად მწუხარენი. 22 აგვისტოს 1897 წელს. მშვიდობით, ძვირფ სო პირუტყვო! ნახვამდის“! ამავე სასაფლაოზე დამარხულია გლადსტონის ძაღლი, რომელიც მალე მოკვდა ბატონის სიკვდილის შემდეგ.

ამ სასაფლაოზე ყოველ წელიწადს 30—40 ძაღლსა მარხავენ. მრავალი საფლავი მორთულია ყვავილებითა და გვირგვინებით.

* * *

ანნამაში ამ ჟამად ძლიერ არის გავრცელებული შავი ჭირი. ეს სენი აქ სწორედ ისე გაჩნდა, როგორც ვენაში, ესე იგი იქაურ ლაბარატორიაში, სადაც შავის ჭირის ასაცრელ წამალს აკეთებდნენ, სახელდობრ მკურნალის იერსენის ლაბორატორიაში.

შავი ჭირი ერთსა და იმავე დროს გაჩნდა მკურნალის იერსენის სამკურნალოში და ქალაქში. ამასთანავე დამტკიცდა, რომ შავი ჭირი ქალაქში ვირთაგვებმა შემოიტანეს.

თუმცა ანნამაში კარანტინი არის შეკრული, მაგრამ მაინც ეშინიანთ, შავი ჭირი სხვა ადგილებშიაც არ გადავიდესო.

* * *

თუმცა ევროპაში ქველ მოქმედება მეტად ხშირია და ქველმოქმედთა მიერ დიდს ფულს შეწირვა იქ არავის აკვირვებს, მაგრამ ხანდახან მაინც ბევრსა სწერენ ხოლმე და ჭლაპარაკობენ.

მთელი ლონდონი ეხლა ლორდ ივიგზე ლაპარაკობს, რომელმაც $12^1/_2$ მილიონი ფრანკი შესწირა საქველმოქმედოდ. ამ ფულით უნდა გადიდებულ იქმნას ჯენერის საბაქტეოროლოგიო ინსტიტუტი და დუბლინის ღარიბ უბანში გაიმართოს მუშებისათვის სადგური.

* * *

პეტერბურგში მისულა კიევიდგან ბ-ნი ტონსკი, რომელიც ამტკიცებს, რომ ჰაერში საფრენი მანქანა გამოვიგონე და ხალხის თვალწინ ჰაერში ავფრინდებიო. ეს კაცი არც მეცნიერია, არც მეხანიკი. ნაფიცის ვექილის თანაშემწეა და ეტყობა დიდი სურვილი ჰქონია დაამციროს მეცნიერნი, რომლებიც ჰაერში საფრენ მანქანის გამოგონებისათვის თავებს იმტვრევენ და ჯერ ვერაფერი გამოუგონიათ. ვნახოთ, რა გამოვა რისაგან. ჩვენ-კი გვგონია, რომ ამ ვექილისათვის უკეთესი იქმნება ისევ თავისს ხელობას უმუშაოთოს და დაიცვას ხოლმე ის ბრალდებულნი, რომელთაც საპართალი ემუქრება-ციე ქვეყნებში გადაგაფრენთო.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲬᲘ�გᲜᲔᲑᲘ

რედაქციამ მიიღო „ქართული კალენდარი“, გამოცემული ზ. ჭიჭინაძის მიერ. კალენდარში საკალენდარო ცნობების გარდა მოთავსებულია სხვა გამოსადეგი ცნობებიც, როგორც, მაგალითად, რკინის გზის მიმოსვლისა, სავაჭრო ხარჯისა და გადასახადებისა და სხვათა შესახებ. კალენდარი პატარა ფორმატისაა, შეიცავს 124 გვერდს და ღირს ორი შაური.

ᲓᲔᲞᲔᲨᲐ

23 დეკემბერი.

ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲚᲘ. გამოცხადებულია უმაღლესი რესკრიპტი ხელმწიფე იმპერატორისა პავლოვსკის ინსტიტუტის სახელობაზედ მისის 100-ს წლის იუბილეის გამო და რესკრიპტი ხელმწიფა იმპერატრიცის ალექსანდრა თეოდორეს ასულისა დიდის მთავრისა ალექსანდრა იოსების ასულის სახელობაზედ იმავე შემთხვევის გამო.

ᲥᲐᲘᲠᲘ. სუდანიდგან იუწყებიან, რომ გადერეფთან 24 ოქტომბერს ინგლის-ეგვიპტის მხედრობის მიერ დამარცხებული დერვიშების წინამძღოლი ახმედ-ფედილი სამხრეთისაკენ წავიდა და განზრახვა აქვს, ჩქარა მტრედის ფერ ნილოსს გაღმა გავიდეს, ეგვიპტის საზღვრის იქითა მხარეს, როზეიერთან. კიტჩენერმა გაილაშკრა ხალიფის წინააღმდეგ საბრძოლველად.

ᲛᲐᲓᲠᲘᲓᲘ. გენერალი რიოსი დეპეშით იუწყება: „მანილიაში მოვედი, ვიზაის კუნძულებიდგან ყველა ჯარები გავრეკე და მინდანაოს ჩრდილოთ მხრიდგან 14 სიმაგრე ავაფეთქე. მცირე ესკადრა, რომელიც ლანოს ტბის გემებისაგან შესდგება და ჯარი თავმოყრილია ზამბოანგოში“.

ᲛᲐᲜᲘᲚᲘᲐ. მეამბოხენი ემზადებიან ამერიკელებთან წინააღმდეგობის გასაწევად.

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ. მთავრობა აჩქარის ფილიპინებში საშველ ჯარის გაგზავნას, რათა ორი კვირის განმავლობაში შეეძლოს გასვლა.

ᲑᲣᲓᲐ�პᲔᲨᲢᲘ. ბანფისა და გორანსკის შორის დუელი მოხდა. მოწინააღმდეგენმა ორჯელ ესროლეს ერთმანეთს. არც ერთი არ დაჭრილა.

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ. „Morning Post“-ი იუწყება, რომ ხანკოუდგან საშიში ამბები მოდისო: სი ჩუანსა, ხუნანსა და ხუპეში არეულობა მატულობს. ქვრივი დედოფალი ვიცე-კაროლებს რამდენიმე უფლებას ართმევს. მეამბოხეთა წინააღმდეგ გაგზავნილი იმპერატორის ჯარები ხუპეს მტრის დანახვაზედვე გაიქცნენ.

ᲛᲐᲓᲠᲘᲓᲘ. გენერალი რიოსი დეპეშით იუწყება მანილიდგან, რომ ბალიბაკში დახოცეს ყველა ტყვედ წაყვანილი ესპანელი, ქალებს გარდ ო.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ

ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის გამგეობა ამით აცხადებს, რომ 4 იანვარს 1899 წელს ბანკის სადგურში, ფრეილინის ქუჩაზე, ქართველ თავად-აზნაურობის სახლში, დანიშნულია ხელმეორე და უკანასკნელი ვაჭრობა, განუმეორებლად, იმ მამულების გასასყიდათ, რომლებიც 17, 19 და 21 დეკემბერს 1898 წელს მომხდარ ვაჭრობის დროს არ გაყიდულა.

ქალაქის მამულები.

ᲣᲐᲖᲐᲠᲝᲕᲘ. დავით კარაპეტას ძე და მინასიანცი: სოფიო არუთინას ასული, ეკატერინე, აიკანდუკტ და ასტღიკ კარაპეტას ასულნი: სამსართულიანი სახლი სარდაფით, სამსართულიანი ფლიგელი, ერთ-სართულიანი შენობა და სარაია, მიწა ზომით $604^1/_2$ ოთხკ. საჟ., ანუ რამდენიც აღმოჩნდება, მე-8 ნაწილი ტფილისში, რიყისა (პესკოვსკი), პანასევიჩისა და სურფ-კარაპეტის ქუჩებზე. თავნი ვალი 27,729 მან., შესატანი გარდასახადი 1914 მ., 28 კ., სულ 28923 მ. 28 კ.

ᲗᲐᲯᲘᲔᲕᲘ. მიხეილ იაკობის ძე: ორსართულიანი სახლი და ორი ასეთივე ფლიგელი, მიწა ზომით 300 ოთხკ. საჟ., მეათე ნაწილი ქ. ტფილისში, ვოგზალის პირდაპირ, ავჭალის ქუჩის ბოლოს. თავნი ვალი 15950 მან. 88 კ. შესატანი გარდასახადი 637 მ. 17 კ., სულ 16588 მ. 05 კ.

ᲝᲜᲐᲜᲝᲕᲘ. პირა ონანის ძე: 2 ერთსართულიანი სახლი, მიწა ზომით 120 ოთხკ. საჟ. მეათე ნაწილი, ქ. ტფილისში, დიდუბეში, თავნი ვალი 5907 მ. 73 კ. შესატანი გარდასახადი 240 მ. 69 კ. სულ 6148 მ. 42 კ.

ᲓᲛᲘᲢᲠᲘᲔᲕᲘ. ევგენი პეტრეს ძე: ორ სართულიანი სახლი, მიწა ზომით: გირავნობის მოწმობით 26 ოთხკ. საჟენამდე, ხოლო დაფასების მოწმობით 40 კუთხ. საჟ. მე-7 ნაწილი ქ. ტფილისში, ავლაბარში, ციციანოვის ქუჩაზე. თავნი ვალი 2969 მან., 63 კ. შესატანი გარდასახადი 114 მ. 31 კ. სულ 3083 მ. 94 კ.

ᲝᲜᲐᲜᲝᲕᲘ. ოსეფ მუღდუსი—პეტროსას ძე (იგივე მუღდუსი-პეტროსას ძე): ორ სართულიანი და სართულ ნახევრიანი სახლი, მიწა ზომით $292^1/_2$ ოთხ კ. საჟ., ანუ რამდენიც აღმოჩნდება; ქ. ელისავეტოპოლში, დაბლანურ ქუჩაზე. თავნი ვალი 4910 მ. 02 კ. დარჩენილი გარდასახადი 188 მ. 23 კ., სულ 5098 მ. 25 კ.

ᲘᲐᲠᲐᲯᲝᲕᲘ. ალექსანდრე კონსტანტინეს ძე: (15 იანვარს 1897 წელს მომხდარ ვაჭრობის დროს შეძენილი თავ.ნიკოლოზ ალექსანდრეს ძის თუმანოვისაგან): ერთ სართულიანი სახლი და ორი ასეთივე ფლიგელი ფარდულით, მიწა ზომით 162 ოთხ კ. საჟ. ქ. ქუთაისში, პეტროვსკის ქუჩაზე, თავნი ვალი 3705 მ. 89 კ. შესატანი გარდასახადი 374 მ. 31 კ., სულ 4080 მ. 20 კ.

ᲕᲔᲠᲐᲯᲝᲕᲘ. ტურინჯ აგასიევის ძე: ერთ სართულიანი სახლი სარდაფით და 3 ერთ სართულიანი ფლიგელი, მიწა ზომით 132 ოთხ კ. საჟ. ქ. ნუხაში. თავნი ვალი 2265 მ. 56 კ. შესატანი გარდასახადი 92 მ. 86 კ., სულ 2358 მ. 42 კ.

სოფლის მამულები.

ᲗᲐᲗᲐᲣᲚ ᲐᲓᲝᲚᲤᲘ ᲐᲓᲝᲚᲤᲘᲡ ᲫᲔ: სახნავი, სასახლ-კარო ადგილები, შენობანი და ვენახი, მიწა ზომით გირავნობის მოწმობით 151 დესეტინა 300 ოთხ-კუთ. საჟ., ხოლო გამიჯვნით 102 დეს. 1440 ოთხ კუთ. საჟ. ტფილისის გუბ., გორის მაზრ. სოფ. ბრეთში.

თავნი ვალი 7060 მან. 06 კაპ., შემოსატანი გადასახადი 337 მან. 49 კაპ., სულ 7397 მან. 55 კაპ.

ᲑᲔᲑᲣᲠᲝ-ᲒᲐᲩᲜᲐᲫᲔ. ალექსანდრე ივანეს ძე: ვენახი, მიწა ზომით 2088 ოთხ-კუთ. საჟ. ტფილისის გუბ. სიღნაღის მაზ., აგარაკ კარდენახში.

თავნი ვალი 172 მან. შემოსატანი გარდასახადი 16 მან. 32 კ., სულ 188 მან., 32 კ.

ᲑᲔᲑᲣᲠᲝ-ᲒᲐᲩᲜᲐᲫᲔ. გიორგი (იგივე იაგორ) ქაიხოსროს ძე: სასახლ-კარო ადგილები და ბაღი, მიწა ზომით 2 დეს. 1330 ოთხ-კუთ. საჟ. ტფილისის გუბ. სიღნაღის მაზ., აგარაკ კარდენახში.

თავნი ვალი 1600 მან., შემოსატანი გარდასახადი 49 მან. 52 კ., სულ 1649 მ. 52 კ.

ТОВАРИЩЕСТВО
Брокаръ и К°.
ИЗОБРѢТАТЕЛИ
ГЛИЦЕРИНОВОЙ
ПУДРЫ.
СРЕДСТВО
ДЛЯ СМЯГЧЕНІЯ КОЖИ, РУКЪ И ЛИЦА.
Коробка съ пуховк. 80 к.
Коробка безъ пуховки 50 к.
(11—Მ.—7)

ᲓᲐᲡᲢᲐᲠᲘ ᲛᲐᲢᲘᲐᲜᲔ

ფლეთილ გლეხიდგან დაწყებული უპირველეს მდიდრამდე.

მიკკევიჩი, ზანი და ჩეჩოტი, ეს სამი მეგობარი, ეს ერისთვის თავდადებულნი კაცნი დაიხოცნენ ერთ წელიწადს და აღარ შეჰხვედრიან ერთმანერთს სიცოცხლის დროს. შორიდგან სწერდნენ ერთმანერთს წერილებს. იმათი კორესპონდენციები დაბეჭდილია საზღვარ-გარეთ. ბოლომდე არ ულალატნიათ თავისის მიმართულებისათვის. იგინი იყვნენ ნამდვილნი მანათობელნი [9]) თავის ქვეყნისა, მათი შედეგი იყო, რომ იმათს ქვეყანას ბევრი სასარგებლო კაცი აღეზარდა.

დღეს, 24 დეკემბერს, ყოველი პოლონელი ბავშვი აკვნიდგანვე იმეორებს მიკკევიჩის ლექსებს და პოლონელი იხსენიებს მიკკევიჩის კრაკოვში დასაფლავების ამბავს, უცდის დუმილით იმისის ძეგლის კურთხევას, რომლისათვისაც ყველამ თავისი უკანასკნელი წვლილი გაიღო. დღეს სული მიკკევიჩისა წმინდა სადღეგრძელო და მოსაგონებელია ერისა.

—

დიდი მითქმა მოთქმა არის ატეხილი სატახტო ქალაქის გაზეთებსა და აგრეთვე ვარშავაში იმის შესახებ, როგორ იდღესასწაულებს პოლონიის

[9]) filareth.—filari—პოლონურად ფარანი, მანათობელი.

ერი ამ დღეს.

ყური ვათხოვოთ, რას ამბობს თვით პოელონელების გაზ. „Kurier Barszawsci“: „ახლოვდება წამი დიდებული და ყველასთვის სანეტარო.

შობის წინა დღეს ჩამოეშვება ფარდა ძეგლს, რომელიც აუგეს „ადამ მიკკევიჩს თანამემამულეთ“.

„აუგეს ეს ძეგლი, არა კერძო კაცთ, არა საზოგადოებათ, მარტო თავის თანამემამულეთ, თავისმა თაყვანის-მცემელმა სამშობლომ“. ამიტომაც ეს თანამემამულენი წარსდგებიან საზოგადო პატივის ცემით პოლონელი, თავისის ძლიერის სიტყვის მეტყველის ძეგლის წინ“.

„არც რა ტაშის კვრა, არც რა ყვირილი, არც ერთი სიტყვა“.

„პოეტის, გარდახსნილ ბრინჯაოს ქანდაკების წინ, ქუდს მოვიხდით შეერთებულნი ჩუმისა და წყნარის ლოცვით, რომელიც ღრმად აღბეჭდილია ჩვენს გულში“.

„დიდებულ წამის გახსენების დროს ყველაზედ მეტყველი სიჩუმეა; უთქმელობა და სიმშვიდე ყველაზე ძლიერ გამოსთქვამენ წრფელს გრძნობას“.

ნ. მ.

ქ. იურიევი (დორპატი)

Дозволено цензурою, Тифлисъ 23 го Декабря 1898 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ᲘᲚᲘᲐ ᲭᲐᲕᲭᲐᲕᲐᲫᲔ